ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4126312

ნომერი: AR1622629

თარიღი : 13.08.2018

გაცემის თარიღი : 18.08.2018

გაცნობის თარიღი : 31.08.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა არტურ ლაისტი , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხათუნა ხაგულაშვილი პ/ნ 01014004351
- თბილისი ქ.ჩოლოყაშვილის ქ. II კვ. კორ. 1 ბ. 80

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი დოკუმენტაცია ღობის მოწყობის შესაძლებლობაზე. საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან თქვენი მიწის ნაკვეთი N 01.17.14.003.695 წარმოქმნილია 01.17.14.003.146 მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად და თავდაპირველი კონფიგურაციით მიწის ნაკვეეთზე შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, რომელზეც ამ ეტაპზე სამსახურში AR1621848 განცხადებით მიმდინარეობს საქმის წარმოება კორექტირებული არქიტექტურული პოექტის შეთანხმების თაობაზე, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმ შემთხვევაში თუ ღობის მოწყობა არ გსურთ დროებითი სტატუსით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 37-ის მე- 5. პუნქტის თანახმად აკრძალულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის შემოღობვა ან/და მიწის ნაკვეთის შესასვლელებთან ბარიერების მოწყობა (გარდა სახანძრო უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებით დაშვებულისა) აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

ასევე გაცნობებთ იმ შემთხვევაში თუ გეგმავთ სამშენებლო ღობის მოწყობას მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტით მშენებლობის წარმოებისათვის (დროებითი სტატუსით),ვინაიდან აღნიშნული პროექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე მშენენლობის ორგანიზების პროექტი, უსაფრთხოების მიზნით თავისთავად უნდა მოიცავდეს დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობას, რაც დამატებით ნებართვის გაცემას არ საჭიროებს, მაგრამ მისი მოწყობა შესაძლებელია მხოლოდ მშენებლობის ნებართვის მიღების შემდგომ და მისი განთავსება უნდა განხორციელდეს მშენებლობის ორგანიზების პროექტის გენ– გეგმის მიხედვით (დამკვეთი ვალდებულია სრული საპროექტო დოკუმენტაცია , მათ შორის მშენებლობის ორგანიზების პროექტი იქონიოს სამშენებლო მოედანზე) .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიისგან დამოუკიდებლად, როგორც I კლასის დროებითი ღობის მშენებლობაზე ვერ გასცემს შესაბამის წერილობით თანხმობას და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.